ბანთიადი

I კლასი 2025წელი ლიდერი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

მასწავლებელი _____

მათემატიკა

1. თუ 4 + □ = 18 - 9 მაშინ □ არის

ა) 4 ბ) 7 გ) 5 დ) 3

2. რას მივიღებთ თუ 7 -ს მივუმატებთ მასზე 3 -ით მეტ რიცხვს?

ა) 14 ბ) 12 გ) 10 დ) 17

3. თიკამ 6 სოკო იპოვა. შოთამ მასზე 3 -ით მეტი. რამდენი სოკო იპოვეს ორივემ?

ა) 9 ბ) 15 გ) 12 დ) 13

4. 1; 3; □; 7; □;11 რას მივიღებთ თუ შევკრებთ გამოტოვებულ რიცხვებს?

ა) 14 ბ) 17 გ) 16 დ) 15

5. ნინიმ რიცხვები 13; 9; 19; 17; 14; 3; 5; დააწყო ზრდადობით. მერამდენე იქნება რიცხვი 14?

ა) მესამე ბ) მეხუთე გ) მეექვსე დ) მეოთხე

6. დედას 15 ლარი ჰქონდა მან შვილს სამლარიანი ნაყინი უყიდა. რამდენი ლარი დარჩება დედას თუ ის კიდევ ერთ ნაყინს იყიდის?

ა) 12 ლარი ბ) 10 ლარი გ) 9 ლარი დ) 11 ლარი

7. ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელია 18 -ზე ნაკლები?

ა) ჩვიდმეტის მომდევნო რიცხვი

ბ) თვრამეტის წინა რიცხვი

გ) ცხრას მიმატებული ცხრა

დ) ოცის წინა რიცხვი

8. დღეს ოცი მაისია, კვირა. რა დღე იქნება ზეგ?

ა) 22 მაისი ბ) სამშაბათი გ) ორშაბათი დ) 23 მაისი

9. თორნიკე შოთაზე მაღალია და სანდროზე დაბალია. გიორგი კი თორნიკეზე დაბალია. ვინ არის ყველაზე მაღალი?

ა) გიორგი ბ) თორნიკე გ) შოთა დ) სანდრო

10. ეკამ 7-ის მომდევნო ორი რიცხვი შეკრიბა და ყველაზე დიდი ერთნიშნა რიცხვი გამოაკლო. რა რიცხვი მიიღო ეკამ?

ა) 9 ბ) 8 გ) 7 დ) 10

ქართული

გამოცანა;

დაგსუსხავს და აგაყვირებს
ეს მცენარე ბრაზიანი...

11. რომელ მცენარეზეა საუბარი?

ა) ეკალი ბ) კრაზანა გ) ჭინჭარი დ) კოღო

12. რამდენი ხმოვანია სიტყვაში „ბრაზიანი“?

ა) სამი ბ) რვა გ) ხუთი დ) ოთხი

13. რამდენი მარცვალია სიტყვაში „დაგსუსხავს“?

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი დ) ხუთი

14. რამდენი სიტყვისაგან შედგება გამოცანა?

ა) ხუთი ბ) ოთხი გ) ექვსი დ) სამი

მიბარებული კრუხ - წიწილა

ერთი დედაკაცი ქალაქში წავიდა ექიმთან. შვილს კრუხ - წიწილა ჩააბარა და დაუბარა: სანამ მე დავბრუნდები არც ერთი არ დაგეკარგოსო.

შვილმა იფიქრა წიწილები არ დამეკარგოსო და კრუხი და წიწილები ერთმანეთზე თოკით გადააბა. უცებ მოფრინდა ძერა. ერთ წიწილას დააცხრა, მოიტაცა და თოკით გადაბმული სხვა წიწილებიც თავის კრუხიანად თან გაიყოლა.

15. რით გადააბა კრუხ - წიწილა შვილმა?

ა) ძაფით ბ) ბაწრით გ) თოკით დ) ბუმბულით

16. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის წინადადება?

ა) მოფრინდა ძერა. ბ) მოიტაცა კრუხ - წიწილა.

გ) კრუხ - წიწილა ერთმანეთზე დ) წიწილები გადააბა.

17. რატომ გადააბა კრუხ - წიწილა შვილმა?

ა) ეშინოდა მათი დაფანტვის ბ) ეშინოდა მათი დახრჩობის

გ) ეშინოდა მათი ბოსტანში შესვლის დ) ეშინოდა მათი გზაზე გასვლის

18. რატომ წაიყვანა ძერამ კრუხი და წიწილები?

ა) კრუხის შვილებთან დაშორება არ უნდოდა.

ბ) ერთად უნდოდა ყველას წაყვანა

გ) კრუხმა სთხოვა და წაიყვანა

დ) ისინი ერთმანეთზე გადაბმულები იყვნენ

19. რა დაუბარა დედამ შვილს?

ა) ბოსტნის მორწყვა

ბ) კრუხ - წიწილის ყურის გდება

გ) სახლის დალაგება

დ) ეზოს დაგვა

20. რომელ ანდაზას გვაგონებს შვილის საქციელი?

ა) კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

ბ) რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო.

გ) ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო.

დ) არც ერთი